Nüfus / მოსახლეობა	GSYİH ($) / მშპ ($)	GSYH (büyüme) /მშპ	İşsizlik / უმუშევრობა	Enflasyon /ინფლაცია
3 704.5	9 141.4	9.4%	13.9%	3.5%

Gürcistan Merkez Bankası'nın Organizatörlüğünde, Finansal Teknolojiler Konulu Uluslararası bir Konferans Gerçekleştirildi

ეროვნული ბანკის ორგანიზებით, ფინანსური ტექნოლოგიების თემაზე საერთაშორისო კონფერენცია გაიმართა

Gürcistan Merkez Bankası'nın inisiyatifi ve organizatörlüğünde, "Finansal Teknolojilerin Gelişimi – Zorluklar ve Perspektifler" konulu uluslararası konferans düzenlendi.

Etkinliğe finans sektörünün, devlet kurumlarının ve uluslararası kuruluşların temsilcileri ile davetli uzmanlar katıldı.

Toplantıya katılan konuklara Gürcistan Merkez Bankası Başkanı Natia Turnava, Eski Ekonomi ve Sürdürülebilir Kalkınma Bakanı Levan Davitashvili, Adalet Bakanı Paata Salia, başkent belediye başkanı Kaha Kaladze ve İsviçre'nin Lugano şehri belediyesinin Genel Sekreteri Robert Bregi hitap etti.

Natia Turnava, konuşmasında finansal teknolojilerin ve finansal hizmetlerin gelişimi açısından elde edilen sonuçlara, yürütülen faaliyetlere ve planlara dikkat çekti. Turnava'ya göre, FinTech gelişim stratejisi, Gürcistan'ın FinTech endüstrisinin gelişimini destekleyecek ve bu da hem bölgesel hem de uluslararası ölçekte rekabet gücünü daha da artıracaktır.

Levan Davitashvili, finansmana erişim açısından Gürcistan'ın oldukça gelişmiş bir ülke ve bankacılık sektörünün bölgedeki en önde gelen sektörlerden biri olduğunu vurguladı.

Adalet Bakanı Paata Salia'ya göre, teknolojik gelişme ve dijital dönüşüm sürecinde kamu ve özel sektör arasındaki iş birliği, inovasyonların hayata geçirilmesi için güçlü bir temel ve verimli bir ortam oluşturmaktadır.

Tiflis Belediye Başkanı Kaha Kaladze'nin açıklamasına dayanarak, Gürcistan'da teknolojik altyapı zaten oldukça gelişmiş durumdadır ve özellikle dikkat çeken, ticari bankacılık sektörü ve vatandaşların günlük finansal işlemlerini kolaylaştıran yeniliklerdir.

ARKAS GEORGIA LLC EFES GEORGIA LC WAIKIKI MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM TAV Airports Ziraat Bank

İsviçre'nin Lugano şehri belediyesinin Genel Sekreteri Robert Bregi, konferansa katılanlara Lugano'da finansal teknolojilerin gelişimi ve uygulanması konusundaki deneyimlerini paylaştı ve aynı zamanda kendisinin de Gürcistan ve bölgede devam eden harika girişimleri öğrenmekte olduğunu belirtti.

Etkinlik, tematik sunumlar ve panel tartışmalarıyla devam etti. Katılımcılar FinTech'in geleceği ve mevcut zorlukların çözüm yolları hakkında fikir alışverişinde bulundu.

საქართველოს ეროვნული ბანკის ინიციატივითა და ორგანიზებით, საერთაშორისო კონფერენცია „ფინანსური ტექნოლოგიების განვითარება – გამოწვევები და პერსპექტივები" ჩატარდა.

ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღეს ფინანსური სექტორის, სახელმწიფო უწყებებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა, ასევე მოწვეულმა ექსპერტებმა.

დამსწრე საზოგადოებას სიტყვით მიმართეს საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა, ნათია თურნავამ, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების ყოფილმა მინისტრმა, ლევან დავითაშვილმა, იუსტიციის მინისტრმა, პაატა სალიამ, დედაქალაქის მერმა, კახა კალაძემ და ქალაქ ლუგანოს მუნიციპალიტეტის გენერალურმა მდივანმა, რობერტ ბრეგიმ.

ნათია თურნავამ სიტყვით გამოსვლისას ფინანსური ტექნოლოგიებისა და ფინანსური სერვისების განვითარების კუთხით მიღწეულ შედეგებზე, მიმდინარე აქტივობებსა და გეგმებზე გაამახვილა ყურადღება. მისი შეფასებით, ფინტექის განვითარების სტრატეგია ხელს შეუწყობს საქართველოს ფინტექ ინდუსტრიის განვითარებას, რაც კიდევ უფრო გააძლიერებს კონკურენტუნარიანობას როგორც რეგიონში, ისე საერთაშორისო მასშტაბით.

ლევან დავითაშვილმა ხაზი გაუსვა, რომ ფინანსებზე ხელმისაწვდომობის კუთხით საქართველო საკმაოდ განვითარებული ქვეყანაა, რომლის საბანკო სექტორი ერთ-ერთი მოწინავეა რეგიონში.

იუსტიციის მინისტრის, პაატა სალიას შეფასებით, ტექნოლოგიური განვითარებისა და ციფრული ტრანსფორმაციის პროცესში სწორედ კერძო და საჯარო სექტორებს შორის

თანამშრომლობა ქმნის იმ მყარ საფუძველს და ნაყოფიერ გარემოს, რომლის პირობებშიც ჩნდება მრავალმხრივი შესაძლებლობა ინოვაციების დასანერგად.

ქალაქ თბილისის მერის, კახა კალაძის განცხადებით, საქართველოში ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურა უკვე საკმაოდ განვითარებულია. მისი თქმით, განსაკუთრებით თვალში საცემია კომერციული საბანკო სექტორი და მათ მიერ დანერგილი ისეთი ინოვაციები, რომლებიც მოქალაქეების ყოველდღიურ ფინანსურ ოპერაციებს ამარტივებენ.

შვეიცარიის ქალაქ ლუგანოს მუნიციპალიტეტის გენერალურმა მდივანმა, რობერტ ბრეგიმ შეკრებილ საზოგადოებას ლუგანოში ფინანსური ტექნოლოგიების განვითარებისა და დანერგვის კუთხით გამოცდილება გაუზიარა და აღნიშნა, რომ, საკუთარი გამოცდილების გაზიარების პარალელურად, თავად სწავლობს საქართველოსა და რეგიონში მიმდინარე შესანიშნავ ინიციატივებს.

ღონისძიება თემატური პრეზენტაციებითა და პანელური დისკუსიებით გაგრძელდა, რომლის მონაწილეებმა ფინტექის მომავალსა და არსებული გამოწვევების გადაჭრის გზებზე იმსჯელეს.

“Ülkenin Turizm ve Yatırım Potansiyeli: Stratejik Projelerin ve Girişimlerin Önemi, Fırsatlar ve Zorluklar”

„ქვეყნის ტურისტული და საინვესტიციო პოტენციალი, სტრატეგიული პროექტების და ინიციატივების მნიშვნელობა, შესაძლებლობები და გამოწვევები“

Gürcistan Ekonomi ve Sürdürülebilir Kalkınma Bakanı Mariam Kvrivishvili, “Ülkenin Turizm ve Yatırım Potansiyeli: Stratejik Projelerin ve Girişimlerin Önemi, Fırsatlar ve Zorluklar” konulu panele katıldı.

“Ekonomik Forum” tarafından düzenlenen etkinlikte Bakan, bakanlığın aktif olarak üzerinde

çalıştığı başlıca ekonomik öncelikler, projeler ve planlar hakkında bilgi verdi.

Kvrivishvili konuşmasında şunları ifade etti: “En temel ve vazgeçilmez unsur, ülkemizin sürdürülebilir ekonomik kalkınmasını hep birlikte sürdürmemizdir. Doğal olarak, ekonomik gelişim açısından tüm temel göstergeler bizim başlıca önceliklerimiz arasında yer alıyor. Hedeflerimiz, hükümet programı çerçevesinde açıklandı: 2028 yılına kadar Gürcistan ekonomisinin 130 milyar Lari’ye ulaşması, bu da doğrudan devlet bütçesinin büyümesine katkı sağlayacaktır. Aynı zamanda, temel önceliklerimizden biri işsizlik oranını %4 seviyesine düşürmektir. Elbette, ekonominin itici gücü olan sektörlerin, özellikle enerji sektörünün gelişimi son derece önemlidir. Bu bağlamda, enerji bağımsızlığı yönünde aktif çalışmalar yürütmeye devam edeceğiz.”

Etkinliğe, Ekonomi ve Sürdürülebilir Kalkınma Bakan Yardımcısı Irakli Nadareishvili de katıldı. Panel, “Business Insider Georgia” ve “Ekonomik Forum”un kurucusu Giorgi Abashishvili’nin moderatörlüğünde gerçekleşti. Bakan Kvrivishvili'nin yanı sıra Gürcistan Parlamentosu Sektörel Ekonomi ve Ekonomik Politika Komitesi Başkanı Shota Berekashvili ile “Ambassadori Island Batumi”nin Genel Direktörü Gocha Kamkia da panelde yer aldı.

Mariam Kvrivishvili, panelde yer alan alan uzmanlarına ve özel sektör temsilcilerine, ülkenin ana altyapı projelerinin mevcut durumu ile kilit ekonomik sektörlerin gelişimine ilişkin ayrıntılı bilgiler sundu.

Ayrıca, turizm ve havacılık sektörlerine dair güncel istatistikleri de kamuoyuyla paylaştı:

- 2024 yılında, uluslararası ziyaretçi sayısı 7.368.149 oldu; bu rakam, 2023’e göre %4,2’lik bir artışı temsil ediyor
- Turizm gelirleri ise %7,3 artarak 4,4 milyar ABD dolarına ulaştı
- 2025 yılının ilk çeyreğinde (Ocak-Mart), uluslararası seyahatlerden elde edilen gelir rekor düzeye ulaştı ve 826 milyon ABD doları ile tarihî bir zirveye çıktı

Benzer şekilde, sivil havacılık sektöründe de pozitif büyüme gözlemlendi:

- 2024 yılında, bir önceki yılın aynı dönemine kıyasla yolcu trafiği %24 oranında artarak 7,4 milyon yolcu barajını aştı
- 2025’in Ocak-Nisan döneminde, ülkenin üç uluslararası havaalanı 2 milyondan fazla yolcuya hizmet verdi

- Gürcistan havaalanlarında 100'e yakın hava rotasında, 60'tan fazla yolcu hava yolu şirketi faaliyet gösteriyor

Kvrivishvili açıklamasında, şu şekilde konuştu: "Turizm ve havacılık sektörlerinin gelişimi açısından Gürcistan, son yıllarda birçok daha gelişmiş ülkenin başaramadığını başardı. Altyapı projelerine yönelik çalışmalarımızı da kararlılıkla sürdüreceğiz: bunlar arasında otoyolların tamamlanması, Anaklia Derin Deniz Limanı ve yeni uluslararası havaalanı gibi projeler yer alıyor. Bu tür büyük ölçekli, temel projeler yalnızca belirli sektörlerin değil, daha geniş bir perspektiften bakıldığında ülkemizin sürdürülebilir kalkınmasının da itici gücü olacaktır."

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა მარიამ ქვრივიშვილმა მონაწილეობა მიიღო დისკუსიაში „ქვეყნის ტურისტული და საინვესტიციო პოტენციალი, სტრატეგიული პროექტების და ინიციატივების მნიშვნელობა, შესაძლებლობები და გამოწვევები".

„ეკონომიკური ფორუმის" მიერ ორგანიზებულ ღონისძიებაზე მინისტრმა იმ ძირითადი ეკონომიკური ასპექტების, პროექტებისა და გეგმების შესახებ ისაუბრა, რაზეც სამინისტრო აქტიურად გააგრძელებს მუშაობას.

„მთავარი და ფუნდამენტური არის, რომ ყველამ ერთად განვაგრძოთ ჩვენი ქვეყნის მდგრადი ეკონომიკური განვითარება. ბუნებრივია, ეკონომიკის განვითარებისთვის უმნიშვნელოვანესი ყველა ძირითადი პარამეტრი ჩვენს მთავარ პრიორიტეტებად რჩება. ჩვენი მიზნები სამთავრობო პროგრამის ფარგლებში გვაქვს გამოცხადებული - რომ 2028 წლისთვის საქართველოს ეკონომიკა გაიზარდოს 130 მლრდ ლარამდე, რაც თავის მხრივ მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ქვეყნის ბიუჯეტის ზრდას. ამავდროულად ჩვენი ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი უმუშევრობის დონის 4%-მდე შემცირებაა. რა თქმა უნდა, უმნიშვნელოვანესია ეკონომიკის მამოძრავებელი სექტორების, მათ შორის ენერგეტიკის სექტორის განვითარება, ჩვენ აქტიურად ვიმუშავებთ ენერგოდამოუკიდებლობის მიმართულებით", - განაცხადა მარიამ ქვრივიშვილმა.

ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღო ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილე ირაკლი ნადარეიშვილმა. პანელი „ბიზნეს ინსაიდერი საქართველოს" და „ეკონომიკური ფორუმის" დამფუძნებლის გიორგი აბაშიშვილის მოდერატორობით წარიმართა და მასში ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრთან ერთად მონაწილეობა მიიღეს პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა

და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის თავმჯდომარე შოთა ბერეკაშვილმა და „ამბასადორი აილენდ ბათუმის“ გენერალურმა დირექტორმა გოჩა კამკიამ.

მარიამ ქვრივიშვილმა დისკუსიაში მონაწილე დარგის ექსპერტებს და კერძო სექტორის წარმომადგენლებს ქვეყნის მთავარი ინფრასტრუქტურული პროექტების მიმდინარეობის, ასევე საკვანძო ეკონომიკური სექტორების განვითარების კუთხით არსებული მდგომარეობის შესახებ დეტალური ინფორმაცია მიაწოდა.

მინისტრმა შეკრებილ საზოგადოებას მათ შორის ტურიზმისა და ავიაციის დარგების უახლესი სტატისტიკური მონაცემები გააცნო.

აღსანიშნავია, რომ 2024 წელს საერთაშორისო მოგზაურების მიერ განხორციელებული ვიზიტების რაოდენობამ 7,368,149 შეადგინა, რაც 4.2%-იანი ზრდაა 2023 წლის მონაცემთან შედარებით, ტურიზმიდან მიღებულმა შემოსავლებმა კი 7.3%-იანი ზრდა აჩვენა და 4.4 მილიარდი აშშ დოლარი შეადგინა. რაც შეეხება 2025 წლის მონაცემებს - იანვარი-მარტის პერიოდში საერთაშორისო მოგზაურობიდან შემოსავლების კვარტალური რეკორდული მაჩვენებელი დაფიქსირდა და ისტორიულ მაქსიმუმს 826 მილიონ აშშ დოლარს მიაღწია.

ასეთივე, ზრდის პოზიტიური დინამიკა ფიქსირდება სამოქალაქო ავიაციის სექტორში - 2024 წელს, წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით, მგზავრთნაკადი 24%-ით გაიზარდა და რეკორდულ 7,4 მლნ მგზავრს გადააჭარბა. ეს ტენდენცია 2025 წელსაც გაგრძელდა და იანვარი - აპრილის პერიოდში, ქვეყნის სამივე საერთაშორისო აეროპორტი 2 მლნ მგზავრზე მეტს მოემსახურა. ამასთან, აღსანიშნავია, რომ საქართველოს აეროპორტებში 60-ზე მეტი სამგზავრო ავიაკომპანია დაახლოებით 100 საჰაერო ხაზზე ოპერირებს.

„ტურიზმის და ავიაციის სექტორების განვითარების თვალსაზრისით ჩვენმა ქვეყანამ ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში შეძლო ის, რაც ვერ შეძლო ბევრმა უფრო განვითარებულმა ქვეყანამ. ჩვენ ასევე აქტიურად გავაგრძელებთ მუშაობას ინფრასტრუქტურული პროექტების მიმართულებით - იქნება ეს მაგისტრალური გზების დასრულება, ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტი თუ ახალი საერთაშორისო აეროპორტი. ეს არის ის უმნიშვნელოვანესი ძირითადი, მამოძრავებელი პროექტები, რომლებიც უზრუნველყოფს კონკრეტული სექტორების, შემდგომ ფართო სურათში კი ჩვენი ქვეყნის მდგრად განვითარებას“, - აღნიშნა მარიამ ქვრივიშვილმა.

ARKAS GEORGIA LLC EFES GEORGIA K777 LC WAIKIKI İŞBANK MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM TAV Airports Ziraat Bank

"İşgücü Göçü Hakkında" Kanun Sıkılaştırılıyor

„შრომითი მიგრაციის შესახებ" კანონი მკაცრდება

Yasadışı işgücü göçüyle mücadele amacıyla, "Gürcü Hayali" partisi "İşgücü Göçü Hakkında" kanunu sıkılaştırıyor.

Sunulan ve tek partili parlamentoya şimdiden iletilmiş, hızlandırılmış şekilde görüşülmekte olan yasa tasarısına göre, yabancıların istihdamı için özel bir çalışma izni verilmesine ilişkin bir mekanizma geliştirilip uygulanacaktır. Aynı zamanda, ihlal eden göçmenlere para cezası uygulanacak, işverenler içinse cezalar artırılacaktır.

Yasa tasarısının gerekçeli açıklamasına göre, yürürlükteki mevzuat kapsamında: Gürcistan'da bir yabancı ülke vatandaşının istihdamı için yalnızca işveren tarafından bu kişinin işgücü göçü özel elektronik sistemine kaydettirilmesi zorunludur. Aynı zamanda, mevzuat, devletin, işgücü piyasasının çıkarları doğrultusunda, bir yabancının Gürcistan'da istihdamına izin vermemesini sağlayacak bir mekanizma öngörmemektedir.

Bu durum, kendi içinde, çoğu zaman Gürcistan'a niteliksiz veya fazla sayıda işgücünün girişine yol açmakta, bu da sonuç olarak hem yerel işgücünü hem de işgücü piyasasının çıkarlarını olumsuz etkilemektedir.

Ayrıca, vizesiz seyahat kapsamında ülkeye gelen ve Gürcistan'da istihdam edilerek işgücü göçü özel elektronik sistemine kayıt olan yabancılar için, mevzuat bu kişilerin işgücü faaliyetinde bulunmaları ve işgücü oturum izni almaları yönünde herhangi bir yükümlülük öngörmemektedir.

Belgede sunulan istatistik verilerine göre, 2022–2023 yıllarında, sınır geçiş verilerine dayanarak, Gürcistan'a giriş yapıp en az 6 ay + 1 gün kalan 239.334 yabancı ülke vatandaşı kaydolmuştur (bu, Ulusal İstatistik Dairesi'nin göçmenleri saymak için kullandığı yöntemdir). Göçün ana itici güçlerinden biri istihdam ve ekonomik istikrar arayışıdır. Bu nedenle, ülkede kalmış yabancı ülke vatandaşlarının büyük bir bölümünün yüksek ihtimalle ekonomik göçmen olduğu düşünülmektedir. Ancak, Ekonomi Bakanlığı sisteminde yer alan istatistiklere göre, işgücü piyasasında yalnızca 42.000 işgücü göçmeni kayıtlıdır.

Bu uyumsuzluğa dayanarak, ülkede işgücü göçünün kaydı ve izlenmesi eksiksiz değildir ve esasen Gürcistan işgücü piyasasında fiilen faaliyet gösteren işgücünü yansıtmamaktadır. Sonuç olarak, hedefe yönelik politikaların planlanması, işgücü haklarının korunması ve piyasanın gerçek durumunun analizi zorlaşıyor.

ARKAS GEORGIA LLC EFES GEORGIA K 777 LC WAIKIKI İŞBANK MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM TAV Airports Ziraat Bank

Sunulan değişikliklere göre:

- Yabancıların istihdamı için özel çalışma izninin verilmesine ilişkin mekanizma geliştirilecek ve uygulanacaktır;
- Bu özel çalışma izninin verilmesine ilişkin kriterler belirlenecektir;
- Gürcistan'da yabancı gerçek kişilerin işgücü/ticari faaliyetleri düzenlenecektir (klasik istihdam şekli olmayan durumlar dahil);
- Mevzuatta belirlenen kuralların uygulanması için yeni mekanizmalar geliştirilecek ve uygulayıcı kurumlar belirlenecektir;
- Yabancıları özel çalışma izni olmadan istihdam eden işverenler için para cezası artırılacaktır;
- Gürcistan'da özel çalışma izni olmadan işgücü/ticari faaliyet yürüten her bir işgücü göçmeni için para cezası uygulanacaktır;
- Gürcistan'daki işgücü göçü süreçleri tamamen düzenlenecek ve yönetim amacıyla ilgili devlet kurumlarının görev ve yetkileri belirlenecektir.

Kanunun 1 Mart 2026 tarihinde yürürlüğe girmesi öngörülmektedir.

Aynı zamanda, bu kanunun yürürlüğe girdiği tarihte kayıtlı durumu aktif olan işgücü göçmenleri, en geç 1 Ocak 2027 tarihine kadar özel çalışma izni ve ilgili kategoride oturum izni edinmekle yükümlü olacaklar. Bununla birlikte, kanuna geriye dönük etki verilmesi öngörülmemektedir.

Cezalara gelince:

- Yerel bir işverenle işgücü göçmeninin özel çalışma izni olmadan faaliyet yürütmesi, işveren için (her bir göçmen için ayrı ayrı) 2.000 Lari tutarında para cezası ile sonuçlanacaktır;
- Yerel işverenle çalışan işgücü göçmeninin özel çalışma izni olmadan çalışması – işgücü göçmeni için 2.000 Lari para cezasına neden olacaktır;
- Serbest çalışan yabancının özel çalışma izni olmadan çalışması – serbest çalışan yabancı için 2.000 Lari para cezasına neden olacaktır.
- Tekrar eden ihlaller için cezanın iki katına çıkarılması öngörülmektedir.

Yasa tasarısına göre, temel öncelik olarak yerel işgücü kaynaklarının korunması belirlenmiştir.

İşgücü arzının fazla olduğu ekonomik sektörlerde, öncelik yerel işgücünün istihdamına verilecek; yabancı vatandaşların istihdamı ise ilgili düzenlemeler çerçevesinde sınırlandırılacaktır, böylece yerel çalışanların fırsatları kısıtlanmamış olacak.

Diğer yandan, kadro eksikliği belirlenen sektörlerde devletin yaklaşımı, belirli bir dönem için ve denetim şartları altında işgücü göçmenlerinin seçici ve geçici istihdamı olacaktır. Yabancı

işgücü yalnızca, ilgili pozisyonlar için yerel kadroların mevcut olmadığının teyit edilmesi durumunda istihdam izni alacaktır. Aynı zamanda, uzun vadede işgücü talebi mümkün olduğunca yerel kaynaklarla karşılayabilmek için, yerel işgücünün yeniden eğitimi ve niteliklerinin artırılması sağlanacaktır. Bu sayede, yerel işgücünün ekonomik faaliyetlere daha fazla entegre olması sağlanarak uzun vadede ülkenin ekonomik potansiyelinin tam anlamıyla gerçekleştirilmesini mümkün kılacaktır.

უკანონო შრომით მიგრაციასთან ბრძოლის მიზნით, "ქართული ოცნება" „შრომითი მიგრაციის შესახებ“ კანონს ამკაცრებს.

კანონპროექტის თანახმად, რომელიც ერთპარტიულ პარლამენტს უკვე წარედგინა და დაჩქარებულად განიხილება, შემუშავდება და დაინერგება უცხოელის დასაქმებისთვის სპეციალური სამუშაო უფლების გაცემის მექანიზმი. ამასთან, დამრღვევი მიგრანტებისთვის ჯარიმა შემოდის, ხოლო დამსაქმებლებისთვის - იზრდება.

კანონპროექტის განმარტებითი ბარათის თანახმად, მოქმედი კანონმდებლობით: საქართველოში უცხო ქვეყნის მოქალაქის დასაქმებისთვის სავალდებულოა მხოლოდ მისი შრომითი მიგრაციის სპეციალურ ელექტრონულ სისტემაში რეგისტრაცია (რომელსაც ახორციელებს ამ უცხოელის დამსაქმებელი). ამავდროულად, კანონმდებლობა არ ადგენს მექანიზმებს, რომლითაც შრომის ბაზრის ინტერესებიდან გამომდინარე, სახელმწიფოს საშუალებას მისცემდა უარი ეთქვა უცხოელისთვის საქართველოში დასაქმებაზე.

"აღნიშნული კი, თავის მხრივ, ხშირ შემთხვევაში განაპირობებს საქართველოში არაკვალიფიციური ან ჭარბი ოდენობის მუშახელის შემოსვლას, რაც საბოლოო ჯამში ნეგატიურად აისახება როგორც ადგილობრივ სამუშაო ძალაზე, ასევე შრომის ბაზრის ინტერესებზეც.

ასევე, უვიზო მიმოსვლის ფარგლებში შემოსული უცხოელების მიმართ, რომლებიც საქმდებიან საქართველოში და რეგისტრირდებიან შრომითი მიგრაციის სპეციალურ ელექტრონულსისტემაში, კანონმდებლობა არ ადგენს შრომითი იმიგრანტის მიერ საქართველოში შრომითი საქმიანობის უფლებისა და შრომითი ბინადრობის ნებართვის მოპოვების ვალდებულებას",- წერია დოკუმენტში.

დოკუმენტში მოყვანილია სტატისტიკაც, რომლის მიხედვითაც, მხოლოდ 2022-2023 წლებში, საზღვრის კვეთის მონაცემებზე დაყრდნობით, საქართველოში შემოვიდა 239 334 უცხო ქვეყნის მოქალაქე, რომელიც დარჩა მინიმუმ 6 თვეს + 1 დღე (ეს არის ის მეთოდი რითაც საქსტატი თვლის იმიგრანტებს). მიგრაციის ერთ-ერთი მთავარი მამოძრავებელი ძალა არის დასაქმება და ეკონომიკური სტაბილურობის ძიება. შესაბამისად, მაღალი ალბათობით, ქვეყანაში დარჩენილი უცხო ქვეყნის მოქალაქეების

მნიშვნელოვანი ნაწილი ეკონომიკური მიგრანტია. თუმცა, შრომის ბაზარზე სამინისტროს სისტემაში არსებული სტატისტიკის მიხედვით მხოლოდ 42 000 შრომითი იმიგრანტია რეგისტრირებული.

"ეს შეუსაბამობა მკაფიოდ მიუთითებს, რომ ქვეყანაში შრომითი იმიგრაციის აღრიცხვა და მონიტორინგი სრულყოფილი არ არის და არსებითად ვერ ასახავს იმ სამუშაო ძალას, რომელიც რეალურად ოპერირებს ქართულ შრომის ბაზარზე. შედეგად, რთულდება მიზნობრივი პოლიტიკის დაგეგმვა, შრომითი უფლებების დაცვა და ბაზრის რეალური სურათის ანალიზი",- აღნიშნულია დოკუმენტში.

წარმოდგენილი ცვლილების თანახმად:

შემუშავდება და დაინერგება უცხოელის დასაქმებისთვის სპეციალური სამუშაო უფლების გაცემის მექანიზმი;

შემუშავდება აღნიშნული სამუშაო უფლების გაცემის კრიტერიუმები;

დარეგულირდება საქართველოში უცხოელი ფიზიკური პირების შრომითი/სამეწარმეო საქმიანობა (ისეთი შემთხვევები, როდესაც არ გვაქვს კლასიკური დასაქმება);

შემუშავდება კანონმდებლობით დადგენილი ნორმების აღსრულების ახალი მექანიზმები

და განისაზღვრება მათი აღმასრულებელი უწყებები;

გაიზრდება საჯარიმო სანქცია იმ დამსაქმებლებთან მიმართებით, ვინც უცხოელს დაასაქმებს სპეციალური სამუშაო უფლების მოპოვების გარეშე;

დაწესდება საჯარიმო სანქცია თითოეული შრომითი მიგრანტისთვის, რომელიც საქართველოში სპეციალური სამუშაო უფლების გარეშე ეწევა შრომით/სამეწარმეო საქმიანობას;

საქართველოში შრომითი მიგრაციის პროცესების სრულყოფილად დარეგულირდება და მართვის მიზნით განისაზღვრება შესაბამისი სახელმწიფო უწყებების ვალდებულებები და ფუნქციები.

გათვალისწინებულია კანონის 2026 წლის 1 მარტს ამოქმედება. ამასთან, რეგისტრირებულმა იმ შრომითმა იმიგრანტებმა, რომლებსაც ამ კანონის ამოქმედების მომენტში რეგისტრაციის სტატუსი აქვთ აქტიური, არაუგვიანეს 2027 წლის 1 იანვრისა, უნდა მოიპოვონ სპეციალური სამუშაო უფლება და შესაბამისი კატეგორიის ბინადრობის ნებართვა. ამავდროულად, არ არის გათვალისწინებული კანონისთვის უკუძალის მინიჭება.

რაც შეეხება ჯარიმებს:

ARKAS GEORGIA LLC · EFES GEORGIA · K777 · LC WAIKIKI · İŞBANK · MAQRO CONSTRUCTION · nurol · ŞİŞECAM · TAV Airports · Ziraat Bank

ადგილობრივ დამსაქმებელთან შრომითი იმიგრანტის მიერ შრომითი საქმიანობის უფლების გარეშე საქმიანობა ადგილობრივი დამსაქმებლისთვის (თითოეულ შრომით იმიგრანტზე ინდივიდუალურად) - გამოიწვევს დაჯარიმებას 2 000 ლარის ოდენობით;

ადგილობრივ დამსაქმებელთან შრომითი იმიგრანტის მიერ შრომითი საქმიანობის უფლების გარეშე შრომითი საქმიანობა შრომითი იმიგრანტისთვის - გამოიწვევს დაჯარიმებას 2 000 ლარის ოდენობით;

თვითდასაქმებული უცხოელის მიერ შრომითი საქმიანობის უფლების გარეშე შრომითი საქმიანობა - გამოიწვევს თვითდასაქმებული უცხოელის დაჯარიმებას 2 000 ლარის ოდენობით.

განმეორებით დარღვევებზე კი ორმაგი თანხით ჯარიმაა განსაზღვრული.

კანონპროექტის მიხედვით, მთავარ პრიორიტეტად განისაზღვრება შიდა შრომითი რესურსების დაცვა.

„იმ ეკონომიკურ სექტორებში, სადაც დაფიქსირდება სამუშაო ძალის ჭარბი მიწოდება, უპირატესობა მიენიჭება ადგილობრივი სამუშაო ძალის დასაქმებას, ხოლო უცხოელი მოქალაქეების დასაქმება შესაბამისი რეგულაციების ფარგლებში შეიზღუდება, რათა არ მოხდეს ადგილობრივი დასაქმებულების შესაძლებლობების შეზღუდვა.

მეორე მხრივ, იმ სექტორებში, სადაც გამოიკვეთება კადრების დეფიციტი, სახელმწიფოს მიდგომა იქნება შრომითი იმიგრანტების შერჩევითი და დროებითი დასაქმება - განსაზღვრული პერიოდისთვის და ზედამხედველობის პირობებში. უცხოელ სამუშაო ძალას მიეცემა დასაქმების უფლება მხოლოდ იმ პირობებში, როდესაც დადასტურდება, რომ შესაბამისი პოზიციებისთვის ადგილობრივი კადრები არ არის ხელმისაწვდომი. პარალელურად, განხორციელდება ადგილობრივი სამუშაო ძალის გადამზადება და კვალიფიკაციის ამაღლება, რათა გრძელვადიან პერსპექტივაში სამუშაო ძალაზე მოთხოვნა მაქსიმალურად შიდა რესურსებით დაკმაყოფილდეს. შედეგად მოხდება ადგილობრივი სამუშაო ძალის უფრო მეტად ინტეგრაცია ეკონომიკურ საქმიანობაში, რაც გრძელვადიან პერსპექტივაში უზრუნველყოფს ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალის სრულ რეალიზებას“,- აღნიშნულია განმარტებით ბარათში.

ARKAS GEORGIA LLC EFES GEORGIA K777 LC WAIKIKI იშბანკი İŞBANK MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM TAV Airports Ziraat Bank

Gürcistan’da Taşınmaz Yatırımı Yoluyla Oturma İzni Alma Şartları Sıkılaştırılıyor

საქართველოში უძრავ ქონებაში ინვესტიციის გზით ბინადრობის უფლების მოპოვება მკაცრდება

"Gürcü Hayali" partisinin yürütme sekreteri Mamuka Mdinaradze’nin açıklamasına göre, yabancı ülke vatandaşları için Gürcistan’da oturma izni alma koşulları sıkılaştırılıyor.

Özellikle, mevcut düzenlemeye göre bir yabancı, Gürcistan'da 100 bin ABD dolarını aşan değerde taşınmaz mal edindiğinde, bir yıllık oturma izni alabiliyordu. Yeni düzenlemeyle birlikte bu sınır 150 bin ABD doları seviyesine yükseltiliyor.

Mdinaradze, bu kapsamda üç temel konunun gündemde olduğunu belirtti:

1. Yasadışı ikamet eden yabancıların sınır dışı edilme süreci kolaylaştırılacak.

Mdinaradze, "İlk olarak, bu hafta üçüncü okumada kabul edilmesi planlanan yasa kapsamında, Gürcistan'da yasa dışı olarak bulunan kişilerin sınır dışı edilme prosedürü basitleştirilecek" ifadelerini kullandı.

2. Yabancıların istihdam koşulları sıkılaştırılacak.

“İkinci konu, iş gücü göçüyle ilgili. Yapılacak değişikliklerle birlikte, Gürcistan'da bulunan yabancıların istihdam edilmesine yönelik şartlar daha katı hale getirilecek” dedi.

3. Yatırım yoluyla oturma izni için gereken taşınmaz değeri artırılıyor.

Mdinaradze, "Üçüncü başlık yatırım izinleriyle ilgili. Bilindiği üzere, yabancı bir kişi Gürcistan'da 100 bin doların üzerinde değere sahip taşınmaz edinirse, (her durumda geçerli olmamakla birlikte) bir yıllık oturma izni alabiliyordu. Son altı yıl içerisinde bu yolla 16 bin yabancı oturma izni aldı, ancak bugün bu izni elinde bulunduranların sayısı sadece 3.600. Bu duruma rağmen yatırım şartlarını bir miktar sıkılaştırıyoruz. 100 bin dolar yerine, gereken yatırım değeri artık 150 bin dolar eşdeğerine çıkarılıyor. Böylece hem daha fazla yatırım çekmeyi hem de oturma izni şartlarını daha titiz hale getirmeyi amaçlıyoruz" şeklinde konuştu.

„ქართული ოცნების“ აღმასრულებელი მდივნის მამუკა მდინარაძის განცხადებით, უცხო ქვეყნის მოქალაქეებისთვის ბინადრობის უფლების აღება მკაცრდება.

კერძოდ, თუ უცხოეთის მოქალაქეს აქამდე შეეძლო, საქართველოში 100 ათას დოლარზე მეტი ღირებულების უძრავი ქონება შეეძინა და ამით ერთი წლით

ARKAS GEORGIA LLC EFES GEORGIA LC WAIKIKI İŞBANK MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM TAV Airports Ziraat Bank

საქართველოში ბინადრობის უფლება მიეღო, ახლა ეს ზღვარი 150 ათას დოლარამდე გაიზრდება.

"პირველი საკითხია, ის რომ მიმდინარე კვირაში მესამე მოსმენით მივიღებთ კანონს, რომლის მიხედვითაც გამარტივდება საქართველოში არალეგალურად მყოფი პირების გაძევების პროცედურა.

მეორე საკითხი, შრომით მიგრაციას შეეხება, ჩვენ მივიღებთ ცვლილებებს, რომლის მიხედვითაც საქართველოში მყოფი უცხოელებისთვის გამკაცრდება დასაქმების პირობები.

მესამე მიმართულება არის საინვესტიციო ნებართვების მიმართულება. მოგეხსენებათ, რომ თუ უცხოეთის მოქალაქე საქართველოში შეიძენს 100 ათას დოლარზე მეტი ღირებულების უძრავ ქონებას, მასზე ერთი წლით გაიცემა ბინადრობის უფლება (მაგრამ ყველა ვარიანტში არა). ბოლო 6 წლის განმავლობაში ასეთი ნებართვა მიიღო 16 ათასმა უცხოეთის მოქალაქემ და დღეს ეს ნებართვა შენარჩუნებული აქვს მხოლოდ 3 600 ადამიანს. ამის მიუხედავადაც კი ჩვენ ცოტათი ვამკაცრებთ საინვესტიციო პირობას და ნაცვლად 100 ათასი დოლარისა, [ზღვარი] იქნება 150 ათასი დოლარის ექვივალენტი, რათა მეტი ინვესტიცია შემოვიდეს და გამკაცრდეს ეს პირობები“, - განაცხადა მამუკა მდინარაძემ.